

თპუ

სამართლის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი №16

თბილისი

25 დეკემბერი 2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: პროფ. კახი ყურაშვილი, პროფ. თამარ ჩიტოშვილი, პროფ. არჩილ ლორია, პროფ. ლელა ნადიბაიძე, ასოც. პროფესორი დავით გეფერიძე, ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე, უფრ. მასწ. თამარ ლალიაშვილი, უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე, მასწ. ლალი ფაფიაშვილი, უფრ. მასწ. მ. კოპალეიშვილი, სტუდენტი ელენე კვერნაძე.

სხდომის თავჯდომარე: პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშვნის საკითხი (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი).

მოისმინეს:

პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანს კ. ყურაშვილს 2015 წლის 30 აპრილს ეწურება ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნის ვადა. საჭიროა დაინიშნოს სამართლის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები. მომხსენებელმა აუდიტორიას გააცნო მოსაზრება, რომ დეკანის არჩევნები დაინიშნოს 2015 წლის 8 იანვრიდან, კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყოს 2015 წლის 9 თებერვლიდან 13 თებერვლამდე და არჩევნები ჩატარდეს 2015 წლის 14 თებერვალს 14.00 საათზე. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და საარჩევნო კრიტერიუმები, მოქმედი კანონმდებლობისა და თპუ დებულების შესაბამისად, აისახება რექტორის ბრძანებაში.

აზრი გამოთქვა: პროფ. ა. ლორიამ, ასოც. პროფ. დ. გეფერიძემ.

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. დაინიშნოს სამართლის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები 2015 წლის 8 იანვრიდან; ფაკულტეტის საბჭომ განცხადება გამოაქვეყნოს 2015 წლის 8 იანვარს;
2. კანდიდატების რეგისტრაცია სამართლის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობებზე განხორციელდეს 2015 წლის 9 თებერვლიდან 13 თებერვლის ჩათვლით, 17.00 საათამდე;
3. სამართლის ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ჩატარდეს 14 თებერვალს 14.00 საათზე ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე;
4. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თქუ ვებ-გვერდზე;
5. ეთხოვოს თქუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილებების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :

კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი:

ე. ირემაძე

